

## ანოტაცია

*იური კალანდაძე*

ელ-ფოსტა: iuri.kalandadze460@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

თანამედროვე კარტოგრაფიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ატლასური კარტოგრაფირება. ქართულ კარტოგრაფიაში, თანამედროვე ეტაპზე, დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს რეგიონებისა და ცალკეული მუნიციპალიტეტების კომლექსური ატლასებისა და შესაბამისი გეოინფორმაციული სისტემების შედგენას. ამ კარტოგრაფიულ ნაწარმოებებს გარკვეული პრაქტიკული გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის, რეკრეაციისა და ტურუზმის, სოციალური სფეროს, ადმინისტრაციული მართვისა და სხვა მიმართულებით.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შეეხება გურიის რეგიონის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რუკათა სერიის შედგენას და მათ სივრცულ ანალიზს. აქედან გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომი ატლასური კარტოგრაფირების ელემენტების შემცველია.

ნაშრომის სრულფასოვნად შესრულებისათვის ჩვენს მიერ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური სამსახურებიდან მოპოვებულ იქნა, სტატისტიკური ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, მეურნეობის დარგებისა და ბუნებრივი ობიექტების შესახებ. ამ მასალების კამერალური დამუშავების შემდეგ შედგენილ იქნა როგორც ზოგადგეოგრაფიული, ისე თემატური რუკები. თემატური რუკები ასახავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებს.

შესრულებული ნაშრომი 3 თავისაგან შედგება. პირველი თავი რეფერატული შინაარსისაა და შეეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსურ-გეოგრაფიულ დახასიათებას, ნაშრომის ეს ნაწილი გარკვეულწილად კვლევით ელემენტსაც შეიცავს, რადგან მასში განთავსებულია ის სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ჩვენს მიერ იქნა მოპოვებული და გადამუშავებული. ამ ინფორმაციის შემდეგ იქნა შედგენილი რიგი თემატური რუკები. ნაშრომის მეორე თავი რეფერატული შინაარსისაა, სადაც წარმოდგენილი ის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები, რომლების გამოყენებულ იქნა ნაშრომზე მუშაობის პროცესში. მეოთხე თავში წარმოდგენილია ჩვენს მიერ შედგენილი გეომონაცემთა ბაზა, ზოგადგეოგრაფიული და თემატური რუკები. აქ წარმოდგენილია შედგენილი რუკების სივრცული ანალიზი. ნაშრომის დასკვნითი ნაწილი მოკლედ აჯამებს ნაშრომის შედეგებს. თავისი შინაარსეული მომცველობით, ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ მინი-ატლასს, რომელიც 23 რუკით, კარტოგრამითა და

კარტოდიაგრამით არის წარმოდგენილი. ნაშრომი მოიცავს ასევე ცხრილებსა და დიაგრამებს სტატისტიკური ინფორმაციით.